სს პსპ დაზღვევა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2017 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 5

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 6

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 7

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 9
2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 17
4. წმინდა გამომუშავებული პრემია 18
5. საკომისიო შემოსავალი 18
6. სადაზღვევო ზარალები 19
7. ადმინისტრაციული და მარკეტინგული ხარჯები 19
8. გაუფასურების ზარალი 19
9. საპროცენტო შემოსავალი 20
10. მოგების გადასახადის ხარჯი 20
11. ძირითადი საშუალებები 21
12. წინასწარგადახდილი გადასახადები 21
13. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან 21
14. სხვა აქტივები 22
15. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები 22
16. ფული და ფულის ეკვივალენტები 22
17. სააქციო კაპიტალი 22
18. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები 23
19. სხვა სადაზღვევო ვალდებულებები 25
20. გადავადებული საკომისიო შემოსავალი 25
21. სხვა ვალდებულებები 25
22. რისკების მართვა 26
23. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება 31
24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 32
25. პირობითი ვალდებულებები 33
26. ბალანსის შემდგომი მოვლენები 33

T: +995 32 254 58 45
T: +995 32 218 81 88
@ bdo@bdo.ge
www.bdo.ge

ი.თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „პსპ დაზღვევის“ აქციონერებს და მენეჯმენტს

აუდიტორის დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს „პსპ დაზღვევის“ და მისი შვილობილი კომპანიის შპს „ნიუ კლინიკის“ (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და თანდართული კონსოლიდირებული შენიშვნებით, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობას და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები ამ სტანდარტის შესაბამისად აღწერილია აუდოტორთა პასუხისმგებლობების აბზაცში. ჩვენ შევასრულეთ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი ეთიკის მოთხოვნები და ვართ დამოუკიდებელნი ჯგუფისგან.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო მოსაზრების გამოსახატად.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობა და წარადგინოს საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე, თუ არ აპირებს ჯგუფის ოპერაციების შეჩერებას ან ლიკვიდაციას.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური რეპორტინგის პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ კონსოლიდირებულად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვუკეთებთ იდენტიფიცირებას და ვაფასებთ პოტენციური უზუსტობების რისკებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით, ვატარებთ აღნიშნული რისკების შესაბამის გამანეიტრალებელ პროცედურებს და ვიღებთ საკმარის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას მოსაზრების გამოსახატად. თაღლითობით გამოწვეული მატერიალური უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეულის, რადგანაც თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს დოკუმენტების გაყალბებას, გამიზნულ გამორჩენებს ან შიდა კონტროლების უგულებელყოფას
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის პროცედურებს, რომლებიც აუდიტისთვის არის მნიშვნელოვანი, რათა დავგეგმოთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ ჯგუფის
- შიდა კონტროლის გარემოს ეფექტურობაზე გამოვხატოთ მოსაზრება
- ვაფასებთ ჯგუფის მიერ გამოყენებულ საბუღალტრო პოლიტიკებსა და შეფასებებს და მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შესაბამის განმარტებით შენიშვნებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შეფასებას საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებით
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

12 აპრილი 2018

სს „პსპ დაზღვევა“

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
მოზიდული პრემია		30,581,288	30,067,383
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში		(118,567)	-
წმინდა მოზიდული პრემია		**30,462,721**	**30,067,383**
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(298,110)	442,945
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში გადაზღვევის წილი		106,800	-
წმინდა გამომუშავებული პრემია	4	**30,271,411**	**30,510,328**
საკომისიო შემოსავალი	5	2,942	-
სულ შემოსავალი		**30,274,353**	**30,510,328**
სადაზღვევო ზარალები და ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში		(30,958,298)	(28,045,790)
გადამზღვევლის წილი სადაზღვევო ზარალებში და ცვლილებაში ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში		150	-
წმინდა სადაზღვევო ზარალები	6	**(30,958,148)**	**(28,045,790)**
აკვიზიციის ხარჯები		(21,247)	(8,379)
მარკეტინგული და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(4,132,324)	(3,925,516)
გაუფასურების ზარალი	8	(226,614)	(389,068)
სხვა შემოსავალი და ხარჯი		(128,640)	(146,635)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		**(5,192,620)**	**(2,005,060)**
საპროცენტო შემოსავალი	9	615,059	513,984
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი		(93,081)	291,492
ზარალი დაბეგვრამდე		**(4,670,642)**	**(1,199,584)**
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		**(4,670,642)**	**(1,199,584)**

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2018 წლის 12 აპრილს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ ს. ლებანიძე

მთავარი ბუღალტერი _____ ნ. ტყემალაძე

PSP insurance JSC 204545572

9-33 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016*
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	211,430	259,717
არამატერიალური აქტივები		17,093	14,886
გადავადებული აკვიზაციის ხარჯი		37,052	5,658
გადაზღვევის აქტივები	18	106,800	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები	12	53,109	112,021
მარაგები		28,872	63,905
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	13	5,949,665	6,393,406
სხვა აქტივები	14	133,315	138,963
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	15	7,888,418	7,639,378
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	8,665,863	2,377,639
სულ აქტივები		**23,091,617**	**17,005,573**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	17	22,450,000	14,000,000
დაგროვილი ზარალი		(12,866,114)	(8,195,472)
სულ საკუთარი კაპიტალი		**9,583,886**	**5,804,528**
ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	18	11,447,622	9,562,654
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	19	208,963	41,584
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	20	26,700	-
სხვა ვალდებულებები	21	1,824,446	1,596,807
სულ ვალდებულებები		**13,507,731**	**11,201,045**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**23,091,617**	**17,005,573**

*შესადარისი ინფორმაციის ცვლილების ეფექტი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე მოცემულია 23-ე შენიშვნაში.

9-33 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	სააქციო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	**9,000,000**	**(6,995,888)**	**2,004,112**
სააქციო კაპიტალის ზრდა	5,000,000	-	**5,000,000**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(1,199,584)	**(1,199,584)**
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	**14,000,000**	**(8,195,472)**	**5,804,528**
სააქციო კაპიტალის ზრდა	8,450,000	-	**8,450,000**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(4,670,642)	**(4,670,642)**
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**22,450,000**	**(12,866,114)**	**9,583,886**

9-33 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

		2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული სადაზღვევო პრემია		29,549,444	27,575,718
შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან		75,919	99,160
ანაზღაურებული ზარალები		(28,316,926)	(26,105,339)
გადახდილი ხელფასები		(2,439,164)	(2,293,808)
აგენტებისთვის და ბროკერებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(3,260)	(7,840)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(824,204)	(973,009)
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა		(591,000)	(651,125)
გადახდილი საიჯარო ქირა		-	(269,097)
სხვა შემოსულობანი		142,838	203,956
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(2,406,353)**	**(2,421,384)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(14,131)	(55,004)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან შემოსულობანი		-	7,850
მიღებული პროცენტები		618,498	512,958
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების შემცირება		(340,841)	(2,489,735)
სხვა შემოდინება/(გადინება) საინვესტიციო საქმიანობიდან		(18,237)	-
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**245,289**	**(2,023,931)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსულობანი აქციების ემისიისგან/კაპიტალის ზრდისგან		8,450,000	5,000,000
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**8,450,000**	**5,000,000**
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/(კლება)		(712)	246,832
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**6,288,224**	**801,517**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 1 იანვარი	**16**	**2,377,639**	**1,576,122**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 31 დეკემბერი	**16**	**8,665,863**	**2,377,639**

9-33 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „პსპ დაზღვევა“ (შემდგომში - კომპანია) დარეგისტრირებულია 2007 წლის 22 აგვისტოს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო კოდი # 204545572, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, პუშკინის ქ. #3. 2015 წლის 18 დეკემბერს `დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად შპს პსპ დაზღვევამ შეცვალა სამართლებლივი ფორმა და გახდა სს პსპ დაზღვევა. კომპანია დღგ-ის გადამხდელს არ წარმოადგენს. 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელია საქართველოს მოქალაქე კახაბერ ოქრიაშვილი, რომელიც ფლობს კომპანიის აქციების 100%-ს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ყველა ტიპის სადაზღვევო მომსახურება, გარდა გადაზღვევის მომსახურებისა.

შპს „ნიუ კლინიკა” (შემდგომში - შვილობილი კომპანია) წარმოადგენს სს „პსპ დაზღვევის“ 100%-ით ფლობილ შვილობილ კომპანიას. ეს კომპანია დაარსდა 2012 წლის 10 თებერვალს, იურიდიული მისამართით - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დ. აღმაშენებლის გამზირი, ნომერი 150. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია - 404415753. შპს „ნიუ კლინიკის” ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურება.

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სს „პსპ დაზღვევის“ და შპს „ნიუ კლინიკის“ (შემდგომში „ჯგუფის“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 *წარდგენის საფუძველი*

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს–ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები არის საწარმოები, მათ შორის სტრუქტურიზებული ერთეულები, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი რადგან (1) აქვს უფლებამოსილება წარმართოს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობები, რომელიც მნიშნელოვან გავლენას ახდენს მის შემოსავლიანობაზე, (2) აქვს საშუალება და უფლება შეცვალოს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლიანობა მოცემულ საწარმოში მისი მონაწილეობით და (3) აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს მისი ძალაუფლება ინვესტირებულ საწარმოზე და გავლენა მოახდინოს ინვესტორის მომგებიანობაზე. როდესაც ხდება შეფასება აქვს თუ არა ჯგუფს კონტროლი მის ინვესტირებულ კომპანიაზე, გაითვალისწინება მნიშნელოვანი უფლებების არსებობა, მათ შორის მნიშვნელოვანი პოტენციური ხმის უფლებების ფლობა. ინვესტორს აქვს მნიშვნელოვანი უფლება ინვესტირებულ საწარმოზე, როდესაც მას აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა გამოიყენოს იგი შვილობილი საწარმოს საქმიანობების მიმართულების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ჯგუფს შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ინვესტირებულ საწარმოზე მაშინაც, როდესაც იგი ფლობს ხმის უფლებების უმრავლესობაზე ნაკლებს.

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

სს პსპ დაზღვევა და მისი შვილობილი კომპანია შპს ნიუ კლინიკა იყენებენ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ჯგუფის პოლიტიკას.

2.2 *ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში*

ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები: არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები. კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუქციების კლასიფიკაციას და გაზომვას. ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალაში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომლებიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას ორგანიზაციის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 ორგანიზაციის სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები ორგანიზაციის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. ორგანიზაცია აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 - იჯარა - ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ. შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას.

ამჟამად, ჯგუფი აფასებს ზემოაღნიშნული სტანდარტების გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

2.3 ***ოპერაციები უცხოურ ვალუტაში***

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც ჯგუფის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7940

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.4 *სადაზღვევო და საინვესტიციო კონტრაქტები - კლასიფიკაცია*

ჯგუფი აფორმებს ხელშეკრულებებს, რომლებიც ატარებს სადაზღვევო ან ფინანსურ რისკს, ან ორივეს ერთად. სადაზღვევო ხელშეკრულება ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის დროსაც მზღვეველი თავის თავზე იღებს პოლისის მფლობელის მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება ასევე ატარებდეს ფინანსურ რისკსაც. სადაზღვევო რისკის არსებითობა დამოკიდებულია როგორც სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობაზე, ასევე მისი პოტენციური ეფექტის მოცულობაზე.

2.5 *ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი*

ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს ჯგუფი ატარებს ვალდებულების ადეკვატურობის ტესტს, რათა შეაფასოს აღიარებული სადაზღვევო ვალდებულებების ადეკვატურობა, რომელიც შემცირებულია აკვიზიციის გადავადებული ხარჯებითა და საწარმოთა გაერთიანების ან სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის გადაცემის დროს შეძენილი სადაზღვევო ხელშეკრულებებით. ადეკვატურობის ტესტისთვის ჯგუფი იყენებს თავისი სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომავალი ფულადი ნაკადების, ზარალებისა და ადმინისტრაციული ხარჯების, ასევე სადაზღვევო ვალდებულებების უზრუნველყოფისთვის საჭირო აქტივებიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავლების მიმდინარე შეფასებებს. აღნიშნული შეფასებებიდან წარმოშობილი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულების ნებისმიერი გაუფასურება აღიარდება შემდეგნაირად: თავდაპირველად ხდება შესაბამისი აკვიზიციის გადავადებული დანახარჯებისა და საწარმოთა გაერთიანების ან სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის გადაცემის დროს შეძენილი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჩამოწერა მოგებაში ან ზარალში, ხოლო შემდგომ ხდება გაუფასურების ზარალის რეზერვის შექმნა.

2.6 *სადაზღვევო კონტრაქტებთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები*

მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღიარება, როგორიცაა აგენტების, ბროკერებისა და პოლისების მფლობელებისგან მისაღები ან მათთვის გადასახდელი თანხები, ხდება მათი წარმოშობის მომენტიდან.

თუ არსებობს სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი ამცირებს სადაზღვევო მოთხოვნის საბალანსო ღირებულებას და აღიარებს გაუფასურების ზარალს. ჯგუფი ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებას სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურებაზე იგივე პრინციპით, როგორსაც იყენებს ამორტიზებადი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დროს. გაუფასურების ზარალიც იმავე მეთოდით გამოითვლება, როგორც ეს ხდება ფინანსური აქტივების დროს.

(i) რეგრესი და გადარჩენილი ქონება

ზოგიერთი სახის სადაზღვევო კონტრაქტი ჯგუფს უფლებას აძლევს, გაყიდოს (როგორც წესი, გაფუჭებული) ზარალის დაფარვის შედეგად მიღებული ქონება (გადარჩენილი ქონება). ჯგუფს ასევე შეიძლება ქონდეს უფლება, მესამე მხარეს მოსთხოვოს ზარალის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება (რეგრესი).

გადარჩენილი ქონებიდან მიღებული ანაზღაურება აისახება სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების სახით, ხოლო როდესაც ვალდებულება დაფარულია, იგი აღიარდება, როგორც სხვა აქტივი. სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების თანხა არის თანხა, რომლის მიღებაც გონივრულ პირობებში შესაძლებელია შესაბამისი ქონების რეალიზაციიდან.

რეგრესებიც ასევე განიხილება, როგორც სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირება, და აღიარდება სხვა აქტივებში იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებები დაფარულია. სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების თანხა კი არის თანხა, რომლის მიღებაც გონივრულ პირობებში შესაძლებელია მესამე მხარეებისგან.

2.7 *სადაზღვევო ზარალების ვალდებულებები*

რეზერვები იქმნება ზარალებისთვის და სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ხარჯებისთვის, რომლებიც მოხდა, მაგრამ ჯგუფს ჯერ არ დაურეგულირება. სადაზღვევო ზარალების რეზერვები იყოფა ორ კატეგორიად: განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი და მომხდარი, მაგარამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი.

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(i) განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ფორმირებას ჯგუფი ახორციელებს მზღვეველის მიმართ ცნობილი მოთხოვნების არსებობისას საანგარიშო თარიღისათვის, რაც შესაბამისი განაცხადებით დასტურდება.

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა საანგარიშო თარიღისათვის არის დამზღვევთა ცნობილ მოთხოვნებზე სადაზღვევო ანაზღაურების დარეზერვებული გადაუხდელი თანხები, რომლებზეც არ არის მიღებული გადაწყვეტილება სადაზღვევო თანხების სრული ან ნაწილობრივი დაფარვის დაუკმაყოფილებლობაზე.

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა აისახება ჯგუფის ბალანსში, როგორც ვალდებულება.

(ii) მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის დათვლა მოხდა ჯგუფის წინა გამოცდილებიდან გამომდინარე.
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი რეზერვების ოდენობა ჯგუფის ბალანსში აისახება, როგორც ვალდებულება.

2.8 *გადაზღვევის კონტრაქტები*

სხვა მზღვეველთან (გადამზღვეველი) გაფორმებული კონტრაქტი, რომლის მეშვეობითაც გადამზღვეველი კომპანიას უნაზღაურებს გაცემული ერთი ან მეტი ხელშეკრულების ზარალს და აკმაყოფილებს სადაზღვეო ხელშეკრულებად კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, კლასიფიცირდება, როგორც გადაზღვევის კონტრაქტი.

სარგებელი, რომლის მიღების უფლებაც ჯგუფს წარმოეშობა მის მიერ ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტების შესაბამისად, კლასიფიცირდება, როგორც გადაზღვევის აქტივი. ასეთი ტიპის აქტივები შედგება მოკლე და გრძელვადიანი მოთხოვნებისგან, რაც განისაზღვრება შესაბამისი გადაზღვეული კონტრაქტებიდან წარმოშობილი მოსალოდნელი ზარალებისა და სარგებლის ვადის მიხედვით.

გადამზღვეველისგან მისაღები ანაზღაურების შეფასება ხდება შესაბამისი გადაზღვეული კონტრაქტებიდან მისაღები თანხების პროპორციულად, თითოეული ამ კონტრაქტის პირობების შესაბამისად. გადაზღვევის ვალდებულება წარმოადგენს გადაზღვევის კონტრაქტებზე გადასახდელ პრემიას და აღიარდება ხარჯად გადახდის ვადის დადგომისას.

ჯგუფი ყოველწლიურად ახდენს გადაზღვევის აქტივების გაუფასურების შეფასებას. თუ აღმოჩნდა აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი ამცირებს მის საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებას აქტივის გაუფასურებაზე იგივე პრინციპით, როგორსაც იყენებს ამორტიზებადი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დროს. გაუფასურების ზარალიც იმავე მეთოდით გამოითვლება, როგორც ეს ხდება ფინანსური აქტივების დროს.

2.9 *ფინანსური ინსტრუმენტები*

ფინანსური აქტივები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად შეძენილი აქტივის ხასიათისა და მიზნობრიობიდან გამომდინარე:

- სესხები და მოთხოვნები
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები
- რეალური ღირებულებით აღრიცხული, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სესხების და მოთხოვნების კატეგორია წარმოდგენილია დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის.

გაუფასურების რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომლის დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და პოტენციური შესაძლებლობაც გააჩნია საწარმოს, გარდა იმისა:

(ა) რომლებსაც ჯგუფი თავდაპირველი აღირებისას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით;

(ბ) რომლებსაც ჯგუფი განიხილავს, როგორც გასაყიდად არსებულს; და

(გ) რომლებსაც მიესადაგება განმარტება - სესხები და მოთხოვნები.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები წარმოდგენილია საბანკო საწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების სახით.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან. კომპანიის პოლიტიკა თითოეული სახეობის ფინანსურ ვალდებულებაზე შემდეგია:

(ა) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

(i) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული;

(ii) თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფის მიერ, იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა სადაზღვევო ვალდებულებებს, მიღებულ სესხებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

2.10 *სამართლიანი ღირებულებით შეფასება*

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში. შეფასების თარიღისთვის სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე ან მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომლებისთვისაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება ისე, რომ მაქსიმალურად იყენებდეს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად არასაბაზრო მონაცემებს, რომლებიც საერთო ჯამში მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.

დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა

დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი რეგულარულად განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე).

2.11 *ძირითადი საშუალებები*

ჯგუფი ძირითადი საშუალებების აღრიცხვას აკეთებს ბასს 16 ,,ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. შესაბამისი ვალდებულება აღიარდება, როგორც ანარიცხი.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ტექნიკური აღჭურვილობა	5
ავეჯი	10
ავტომობილები	5

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.12 *მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი*

პერიოდის საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება შესაბამისად - სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. მენეჯმენტი პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას, კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. ჯგუფი ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაობების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან. გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგების წარმოშობა, რომელიც მიმდინარე პერიოდის დროებით სხვაობებთან გაიქვითება.

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

2.13 *საოპერაციო იჯარა*

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

2.14 *ხარჯები*

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

(ა) სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი საბოლოო ზარალები

არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი ზარალების საბოლოო ვალდებულების განსაზღვრა ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასებაა. გარკვეული განუსაზღვრელობა არსებობს საბოლოო ზარალების გადახდის ვალდებულების შეფასებისას.

არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებისთვის, შეფასებები უნდა გაკეთდეს როგორც საანგარიშგებო თარიღისთვის განცხადებული მოსალოდნელი საბოლოო ზარალების, ისე განუცხადებელი ზარალებისთვის. ზარალების ზუსტი საბოლოო მოცულობის განსაზღვრა შესაძლოა დიდი პერიოდის გასვლის შემდეგ მოხდეს. ზოგიერთი სახეობის პოლისისთვის, მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი ქმნის ფინასნურ ანგარიშგებაში ასახული სადაზღვევო ვალდებულების უმეტეს ნაწილს. არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტის შედეგად წარმოშობილი ზარალების დისკონტირება არ ხდება.

(ბ) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

(გ) მოგების გადასახადი

ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს.

ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ჯგუფს მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

(დ) დაზღვევიდან წარმოშობილი მოთხოვნების გაუფასურების ანალიზი

ჯგუფი აფასებს დაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილ მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუარესება.

გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში მენეჯმენტი აფასებს მოთხოვნების პორტფელის მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა მოთხოვნის მომავალ ფულად ნაკადებს.

4. წმინდა გამომუშავებული პრემია

წმინდა გამომუშავებული პრემია დაზღვევის სახეობების მიხედვით საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოზიდული ჯამური პრემია	გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია	წმინდა ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	წმინდა გამომუშავებული პრემია
სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა	24,756,905	-	24,756,905	(410,707)	24,346,198
სიცოცხლის დაზღვევა	2,685,013	-	2,685,013	(18,554)	2,666,459
სამოგზაურო დაზღვევა	2,127,145	-	2,127,145	(13,037)	2,114,108
დაზღვევა უბედური შემთხვევებისგან	263,323	-	263,323	46,027	309,350
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	661,893	(118,567)	543,326	290,415	833,741
სხვა	87,009	-	87,009	(85,454)	1,555
სულ	**30,581,288**	**(118,567)**	**30,462,721**	**(191,310)**	**30,271,411**

წმინდა გამომუშავებული პრემია დაზღვევის სახეობების მიხედვით საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოზიდული ჯამური პრემია	ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	გამომუშავებული პრემია
სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა	23,433,631	501,974	23,935,605
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	1,739,363	(202,159)	1,537,204
სამოგზაურო დაზღვევა	1,961,157	31,742	1,992,899
სიცოცხლის დაზღვევა	2,479,303	77,572	2,556,875
დაზღვევა უბედური შემთხვევებისგან	266,772	58,137	324,909
სხვა	187,157	(24,321)	162,836
სულ	**30,067,383**	**442,945**	**30,510,328**

5. საკომისიო შემოსავალი

საკომისიო შემოსავალი საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
საკომისიო შემოსავალი	29,642	-
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	-	-
გადავადებული საკომისიო შემოსავლის ამორტიზაცია	(26,700)	-
ჯამი	**2,942**	**-**

6. სადაზღვევო ზარალები

სადაზღვევო ზარალები და ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
დარეგულირებული ზარალები	(29,598,342)	(27,220,662)
ცვლილება ზარალების რეზერვებში	(1,586,858)	(1,259,380)
რეგრესები	226,902	434,252
სადაზღვევო ზარალები და ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში	**(30,958,298)**	**(28,045,790)**

7. ადმინისტრაციული და მარკეტინგული ხარჯები

ადმინისტრაციული და მარკეტინგული ხარჯები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
შრომის ანაზღაურება და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(3,178,841)	(2,956,941)
იჯარა	(270,880)	(271,528)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	(141,921)	(77,799)
ოფისის ხარჯი	(123,347)	(155,288)
ცვეთა და ამორტიზაცია	(82,696)	(97,740)
საბანკო ხარჯი	(52,962)	(40,832)
კომუნიკაციის ხარჯი	(46,480)	(37,279)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(39,149)	(21,650)
საწვავი	(25,247)	(30,530)
რეკლამა	(17,000)	(24,947)
სხვა	(153,801)	(210,982)
სულ	**(4,132,324)**	**(3,925,516)**

* 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის აუდიტორულ კომპანიაზე გაწეული წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურების ღირებულება შეადგენს 6,267 და 10,000 ლარს, შესაბამისად.

8. გაუფასურების ზარალი

სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოთხოვნები პოლისის მფლობელებისგან	მოთხოვნები რეგრესებიდან	ჯამი
1 იანვარი	**(387,559)**	**(684,873)**	**(1,072,432)**
რეზერვის ცვლილება	45,274	(271,888)	**(226,614)**
31 დეკემბერი	**(342,285)**	**(956,761)**	**(1,299,046)**

8. გაუფასურების ზარალი (გაგრძელება)

	მოთხოვნები პოლისის მფლობელებისგან	მოთხოვნები რეგრესებიდან	ჯამი
1 იანვარი	**(288,298)**	**(402,520)**	**(690,818)**
რეზერვის ცვლილება	(99,261)	(282,353)	**(381,614)**
31 დეკემბერი	**(387,559)**	**(684,873)**	**(1,072,432)**

9. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	**2016**
თიბისი ბანკი	215,790	31,759
ლიბერთი ბანკი	139,325	171,128
პროკრედიტ ბანკი	77,949	88,543
საქართველოს ბანკი	71,729	43,816
ქართუ ბანკი	62,324	144
ვითიბი ბანკი	47,942	-
რესპუბლიკა ბანკი	-	178,594
სულ	**615,059**	**513,984**

10. მოგების გადასახადის ხარჯი

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით ჯგუფს გააჩნდა დაგროვილი საგადასახადო ზარალი. ჯგუფის მენეჯმენტის შეფასებით არსებობს განუსაზღვრელობა აღნიშნული საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გამოყენებასთან დაკავშირებით, ამიტომ მენეჯმენტმა არ აღიარა მოცემულ საგადასახადო ზარალთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი.

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ისტორიული ღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
2015 წლის 31 დეკემბერი	**290,451**	**192,211**	**16,713**	**499,375**
შემოსვლა	38,076	58,575	18,711	**115,362**
გასვლა	(720)	-	(8,450)	**(9,170)**
2016 წლის 31 დეკემბერი	**327,807**	**250,786**	**26,974**	**605,567**
შემოსვლა	22,755	2,872	3,747	**29,374**
2017 წლის 31 დეკემბერი	**350,562**	**253,658**	**30,721**	**634,941**
დაგროვილი ცვეთა				
ბალანსი 2015 წლის 31 დეკემბერი	**(173,723)**	**(76,133)**	**(8,968)**	**(258,824)**
ცვეთა წლის განმავლობაში	**(52,300)**	**(31,170)**	**(4,416)**	**(87,886)**
გასვლა	**719**	**-**	**141**	**860**
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბერი	**(225,304)**	**(107,303)**	**(13,243)**	**(345,850)**
ცვეთა წლის განმავლობაში	(56,221)	(19,076)	(2,364)	**(77,661)**
2017 წლის 31 დეკემბერი	**(281,525)**	**(126,379)**	**(15,607)**	**(423,511)**
საბალანსო ღირებულება				
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბერი	**102,503**	**143,483**	**13,731**	**259,717**
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერი	**69,037**	**127,279**	**15,114**	**211,430**

12. წინასწარ გადახდილი გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფს საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე - 53,109 ლარის ოდენობით, როგორც საგადასახადო აქტივი. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო სიდიდე შეადგენს საგადასახადო აქტივს 112,021 ლარის ოდენობით.

13. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან

მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2017	31.12.2016
მოთხოვნები პოლისის მფლობელებისგან	6,186,909	6,587,961
მოთხოვნები რეგრესებიდან	1,028,342	874,281
გადაზღვევის მოთხოვნები	29,742	-
სხვა	3,718	3,596
	7,248,711	**7,465,838**
გაუფასურების რეზერვი სადაზღვევო მოთხოვნებზე	(342,285)	(387,559)
გაუფასურების რეზერვი რეგრესებზე	(956,761)	(684,873)
ჯამი	**5,949,665**	**6,393,406**

დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნების რეალური ღირებულება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

13. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან (გაგრძელება)

ჯგუფი ვადადამდგარ მოთხოვნებზე ქმნის საეჭვო ვალების რეზერვს. მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია 22-ე შენიშვნაში.

დაფარვის ვადების და ვალუტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 22-ე შენიშვნაში.

14. სხვა აქტივები

სხვა აქტივები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2017	31.12.2016
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	119,291	91,453
სხვა მიმდინარე აქტივები	14,024	47,510
სულ	**133,315**	**138,963**

15. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები

საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2017	31.12.2016
ძირითადი თანხა	7,867,963	7,615,222
პროცენტი	20,455	24,156
სულ	**7,888,418**	**7,639,378**

საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები მოიცავს 3 თვეზე მეტი ვადით გახსნილ დეპოზიტებს საქართველოს რეზიდენტ ბანკებში.

სს „პსპ დაზღვევას“ მოეთხოვება საბანკო დაწესებულებებში დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) და ფულადი სახსრების ქონა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია კომპანიის მიერ შეფასებული ასანაზღაურებელი ზარალების (სადაზღვევო ვალდებულებების) სიდიდეზე. კომპანიის უფლება ამგვარი დეპოზიტის თავისუფალ განკარგვასთან დაკავშირებით იზღუდება კანონმდებლობით.

დაფარვის ვადების და ვალუტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 22-ე შენიშვნაში.

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2017	31.12.2016
ფული ბანკში (ლარი)	7,596,027	1,444,804
ფული ბანკში (უცხოური ვალუტა)	1,041,273	865,358
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	28,563	67,477
სულ	**8,665,863**	**2,377,639**

ფულის და ფულის ეკვივალენტების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია 22-ე შენიშვნაში.

17. სააქციო კაპიტალი

მარეგულირებელი ორგანოს მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე, რომელიც ეხებოდა სადაზღვევო კომპანიების სავალდებულო კაპიტალის ოდენობას, სს „პსპ დაზღვევამ“ გაზარდა სააქციო კაპიტალი 8,450,000 ლარით, რის შედეგადაც კომპანიის კაპიტალმა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 22,450,000 ლარი.

18. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	4,261,751	3,963,641
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	6,997,980	5,390,336
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	187,891	208,677
სულ	**11,447,622**	**9,562,654**
გადაზღვევის აქტივები		
გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	106,800	-
სულ	**106,800**	**-**
გადამზღვევლის წილით შემცირებული სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	4,154,951	3,963,641
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	6,997,980	5,390,336
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	187,891	208,677
სულ	**11,340,822**	**9,562,654**

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივების მოძრაობის ანალიზი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ა) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, ბრუტო	**2017**	**2016**
ნაშთი 1 იანვრისთვის	**3,963,641**	**4,406,586**
მოზიდული პრემია	34,295,127	31,470,500
მოზიდული პრემიის გაუქმება	(3,713,839)	(1,403,117)
გამომუშავებული პრემია	(30,271,411)	(30,510,328)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	**4,154,951**	**3,963,641**
გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		
ნაშთი 1 იანვრისთვის	**-**	**-**
გადამზღვველის წილი მოზიდულ პრემიაში	118,567	-
გამომუშავებულ პრემიაში გადამზღვევლის წილი	(11,767)	-
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	**106,800**	**-**
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, ნეტო		
ნაშთი 1 იანვრისთვის	**3,963,641**	**4,406,586**
მოზიდული პრემია, ნეტო	34,176,560	31,470,500
ნეტო მოზიდული პრემიის გაუქმება	(3,713,839)	(1,403,117)
ნეტო გამომუშავებული პრემია	(30,271,411)	(30,510,328)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	**4,154,951**	**3,963,641**

18. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

ბ) ზარალების რეზერვი

ზარალების რეზერვი, ბრუტო	2017	2016
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	5,390,336	4,183,350
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	208,677	156,283
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	**5,599,013**	**4,339,633**
წინა წლის ზარალების დარეგულირება (გადახდა)	(3,030,480)	(2,960,729)
წინა წლის ზარალების შეფასების ცვლილება	(1,418,892)	142,885
მიმდინარე წლის ზარალების დასარეგულირებლად საჭირო დანახარჯების შეფასება	32,604,092	28,337,157
მიმდინარე წლის ზარალების დარეგულირება	(26,567,862)	(24,259,933)
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	**7,185,871**	**5,599,013**
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	6,997,980	5,390,336
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	187,891	208,677

ზარალების რეზერვი, გადამზღვევლის წილი		
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	**-**	**-**
მიმდინარე წლის ზარალების დასარეგულირებლად საჭირო დანახარჯების შეფასება	(150)	-
მიმდინარე წლის ზარალების დარეგულირება	150	-
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 31 დეკემბრისთვის	**-**	**-**

ზარალების რეზერვი, ნეტო		
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	5,390,336	4,183,350
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	208,677	156,283
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	**5,599,013**	**4,339,633**
წინა წლის ზარალების დარეგულირება (გადახდა)	(3,030,480)	(2,960,729)
წინა წლის ზარალების შეფასების ცვლილება	(1,418,892)	142,885
მიმდინარე წლის ზარალების დასარეგულირებლად საჭირო დანახარჯების შეფასება	32,604,242	28,337,157
მიმდინარე წლის ზარალების დარეგულირება	(26,568,012)	(24,259,933)
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 31 დეკემბრისთვის	**7,185,871**	**5,599,013**
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	6,997,980	5,390,336
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	187,891	208,677

18. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები – ძირითადი პირობები და დაშვებები

სადაზღვევო კონტრაქტები მოიცავს სამედიცინო, სიცოცხლის, ქონების, უბედური შემთხვევის, კასკოს, სამოგზაურო დაზღვევას, ამგვარი ტიპის დაზღვევები, ძირითადად 12-თვიანია.

სადაზღვევო კონტრაქტებისთვის სადაზღვევო რეზერვები (მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი) განისაზღვრება ვალდებულებების საბოლოო ღირებულების დასაფარად იმ ზარალთან მიმართებაში, რომელიც უკვე მომხდარია და ფასდება საანგარიშგებო თარიღისთვის ცნობილი ფაქტების საფუძველზე.

რეზერვების ხელახალი შეფასება ხდება რეგულარულად, ზარალების მოხდენის ტენდენციის, ასევე მათი დაფარვის გათვალისწინებით. სადაზღვევო ზარალების რეზერვების თანხის დისკონტირება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში არ ხდება.

19. სხვა სადაზღვევო ვალდებულებები

სხვა სადაზღვევო ვალდებულებები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2017	31.12.2016
გადამზღვევლის მიმართ ვალდებულება	118,352	-
აგენტის და ბროკერის საკომისიო	90,611	41,584
სულ	**208,963**	**41,584**

სხვა სადაზღვევო ვალდებულებების რეალური ღირებულება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

დაფარვის ვადების და ვალუტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 22-ე შენიშვნაში.

20. გადავადებული საკომისიო შემოსავალი

გადავადებული საკომისიო შემოსავალი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2017	31.12.2016
1 იანვრი	**-**	**-**
გადავადებული შემოსავალი	29,642	-
ამორტიზაცია	(2,942)	-
31 დეკემბერი	**26,700**	**-**

21. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2017	31.12.2016
სხვა ვალდებულებები*	930,384	912,616
იჯარა	827,148	648,978
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	66,914	35,213
სულ	**1,824,446**	**1,596,807**

*სხვა ვალდებულებები წარმოადგენს მედიკამენტების რეალიზაციით და სხვა სამედიცინო მომსახურების გაწევის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულების დაკავშირებულ მხარესთან (შპს პსპ ფარმა) გაქვითვის შედეგად მასთან წარმოქმნილ ვალდებულებას.

სხვა ვალდებულებების რეალური ღირებულება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

დაფარვის ვადების და ვალუტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 22-ე შენიშვნაში.

22. რისკების მართვა

რისკების მართვა სადაზღვევო საქმიანობაში არსებითი ელემენტია. რისკი თანდაყოლილი მოვლენაა ჯგუფის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი ჯგუფში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. ჯგუფის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები. ამ რისკებთან დაკავშირებული ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

22.1. კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

ჯგუფმა შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ჯგუფმა შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს სადაზღვევო პოლისის მფლობელების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებამ კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისთვის;

ჯგუფის საქმიანობა ასევე ექვემდებარება მარეგულირებელ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც ის მოქმედებს. ამგვარი მარეგულირებელი წესები განსაზღვრავენ არა მხოლოდ საქმიანობის მიმართულებას და მონიტორინგს უწევენ მას, არამედ ადგენენ გარკვეულ შემზღუდავ ნორმებსაც, მაგალითად, კაპიტალის ადეკვატურობის ნორმებს, გაუთვალისწინებელი ვალდებულებების წარმოშობის შედეგად სადაზღვევო კომპანიების დეფოლტისა და გაკოტრების რისკების მინიმიზაციისთვის. ჯგუფის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მიმართულია საკმარისი ლიკვიდური აქტივების შენარჩუნებისთვის, საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

ადგილობრივი სადაზღვევო ზედამხედველი ადგენს კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესს სადაზღვევო კომპანიებისთვის. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „პსპ დაზღვევა“ აკმაყოფილებდა მინიმალურ სავალდებულო კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს - 2,200,000 ლარი სიცოცხლის დაზღვევისთვის, 2,200,000 ლარი არასიცოცხლის დაზღვევისთვის და 2,200,000 ლარი გადაზღვევისთვის.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 16 სექტემბრის ბრძანების მიხედვით, მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა უნდა აღემატებოდეს გაანგარიშებით მიღებული გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობის 50%-ს 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 ივლისამდე. მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა უნდა აღემატებოდეს გაანგარიშებით მიღებული გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობის 75%-ს 2017 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის 1იანვრამდე. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „პსპ დაზღვევა“ აკმაყოფილებდა აღნიშნულ მოთხოვნას.

ასევე, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 16 სექტემბრის ბრძანების მიხედვით, მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა აღემატებოდეს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2015 წლის 20 აპრილის №04 ბრძანებით ,,საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ” განსაზღვრულ კაპიტალის მინიმალურ ოდენობას. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „პსპ დაზღვევა“ აკმაყოფილებდა აღნიშნულ მოთხოვნას.

ჯგუფი ცდილობს კაპიტალის სტრუქტურისა და წყაროს ოპტიმიზაციას, რათა მუდმივად შეძლოს კაპიტალისა და პოლისის მფლობელთათვის უკუგების გაუმჯობესება. ჯგუფის კაპიტალის მართვისადმი მიდგომა მოიცავს აქტივების, ვალდებულებებისა და რისკების კოორდინირებულ მართვას, არსებული და მოთხოვნილი კაპიტალის ოდენობის მუდმივი შეფასებით და შესაბამისი ზომების მიღებით, რათა გავლენა მოახდინოს ჯგუფის კაპიტალის პოზიციაზე.

22. რისკების მართვა (გაგრძელება)

22.2. სადაზღვევო რისკების მართვა

სადაზღვევო ხელშეკრულების რისკი არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი, რომელიც მოიცავს რისკის მოცულობისა და გაცხადების პერიოდის რისკებს. ჯგუფის ძირითადი რისკი ასეთ დროს არის ის, რომ ფაქტიური ზარალისა და სადაზღვევო თანხის სიდიდე შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო ვალდებულებათა საბალანსო ღირებულებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ზარალების სიხშირე და მათი მოცულობა შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე თავდაპირველად შეფასებული ზარალების ვალდებულება.

ჯგუფი რისკების განეიტრალების მიზნით, ახდენს სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიცირებას, რითიც მცირდება გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგების გავლენის რისკი პორტფელზე. რისკების განეიტრალება ხდება ასევე ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით. ჯგუფი ადგენს ანდერრაიტინგის დირექტივებს და შეზღუდვებს, საიდანაც განისაზღვრება, თუ ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა შეზღუდვებით. აღნიშნული შეზღუდვების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება.

ჯგუფი იყენებს ,,ზარალის კოეფიციენტს“ სადაზღვევო რისკების მონიტორინგის მიზნით. კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო ზარალების გაყოფით წმინდა სადაზღვევო შემოსავალზე.

ჯგუფის ზარალის კოეფიციენტი შემდეგია:

	2017	2016
ზარალის კოეფიციენტი	102%	92%

სს „პსპ დაზღვევას“ მიერ განხორციელებული დაზღვევა მოიცავს სამედიცინო, სიცოცხლის, ქონების, უბედური შემთხვევის, კასკოს, სამოგზაურო, დაზღვევას. ამგვარი ტიპის დაზღვევები, ძირითადად, 12-თვიანია. არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებისთვის არსებით რისკს წარმოადგენს სტიქიური მოვლენები და ხანძარი. სამედიცინო დაზღვევის კონტრაქტებისთვის არსებითი რისკი წარმოიქმნება ცხოვრების სტილის შეცვლის, დაზღვეულ პირთა მასიური დაავადებების შედეგად და ა.შ. რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი წარმოშობის ადგილის, სახეობისა და ინდუსტრიის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პორტფელის თანხების არასათანადო თანაფარდობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე.

ზემოთ აღნიშნული რისკის დონე მცირდება სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიკაციით. რისკი ნეიტრალდება ასევე ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, რომელიც უზრუნველყოფს რისკების დაყოფას სახეობებისა და სადაზღვევო თანხების მიხედვით. ეს მიიღწევა ინდუსტრიების მიხედვით დაყოფის გზით. გარდა ამისა, ზარალის განხილვის მკაცრი პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე ზარალის შესაფასებლად, ზარალების დარეგულირების პროცედურების რეგულარული დეტალური განხილვა და შესაძლო თაღლითური ზარალების ხშირი გამოძიება წარმოადგენს ჯგუფის რისკების დონის შემცირების პროცედურებს. ჯგუფი იყენებს ასევე ზარალების მართვისა და დარეგულირების პოლტიკას, რათა შეამციროს მომავალი გაუთვალისწინებელი მოვლენების უარყოფითი გავლენა მის საქმიანობაზე.

განუსაზღვრელობების საფუძველი მომავალში ასანაზღაურებელი ზარალების შეფასებისას

სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ზარალების გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მათი ფაქტიურად მოხდენის მომენტში. არსებობს რამდენიმე ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს სადაზღვევო გარიგებების შედეგად წარმოშობილი ფულადი ნაკადების მოცულობასა და დროულობაზე. ეს განუსაზღვრელობები ძირითადად უკავშირდება დაზღვეული სექტორის თანდაყოლილ, შიდა რისკს, და ჯგუფის მიერ მიღებულ და განხორციელებულ რისკის მართვის პროცედურებს.

ზარალების შეფასებული ღირებულება მოიცავს ზარალების დაფარვისთვის საჭირო პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც შემცირებულია მესამე მხარის მიერ გადასახდელი თანხებით. ჯგუფი ყველანაირად ცდილობს, დარწმუნდეს, რომ მას გააჩნია საკმარისი ინფორმაცია სადაზღვევო ზარალების წარმოშობის შესახებ. მიუხედავად ამისა, სადაზღვევო ზარალების რეზერვებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების გათვალისწინებით, როგორც წესი, საბოლოო, ფაქტიური შედეგი განსხვავდება ჯგუფის მიერ შეფასებული თავდაპირველი ვალდებულებისგან. სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ვალდებულება მოიცავს მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვს, და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვს.

22. რისკების მართვა (გაგრძელება)

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის შეფასება, როგორც წესი, დაკავშირებულია მთელ რიგ განუსაზღვრელობებთან, განსხვავებით იმ ზარალების ღირებულების შეფასებისგან, რომელთა შესახებაც ჯგუფს ინფორმაცია გააჩნია.

ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი შეფასებულ ზარალებს ტესტავს ადეკვატრობაზე: ჯგუფი განსაზღვრავს, ზარალების შეფასებული ვალდებულებები არის თუ არა ნაკლები იმ საბალანსო ღირებულებაზე, რომელიც მოთხოვნილი იქნებოდა, თუ შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებები მოხვდებოდა ბასს 37-ის ,,ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები'' მოქმედების სფეროში, თუ შეფასებული ვალდებულებები ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილ ანარიცხებზე ნაკლები აღმოჩნდა, მაშინ ჯგუფი მთელ უკმარ თანხას აღიარებს მოგებაში ან ზარალში და გაზრდის შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

22.3. ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფი, თავისი საქმიანობის მანძილზე, დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საპროცენტო რისკი
- სავალუტო რისკი

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფის მიერ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შესაძლოა ფინანსური რისკის წინაშე იდგეს, შემდეგია:

	31.12.2017	31.12.2016
ფინანსური აქტივები		
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	7,888,418	7,639,378
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,665,863	2,377,639
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	5,949,665	6,393,406
სულ	**22,503,946**	**16,410,423**
ფინანსური ვალდებულებები		
სხვა ვალდებულებები	1,824,446	1,596,807
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	208,963	41,584
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	7,185,871	5,599,013
სულ	**9,219,280**	**7,237,404**

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი (დამზღვევი, გადამზღვეველი) ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ზოგადად, ჯგუფის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საქართველოს ბაზარზე არსებული მომხმარებლებისთვის სადაზღვევო პროდუქტის რეალიზაციასთან (გადახდის გადავადება) და დამოკიდებულია თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე.

რისკების შეფასების შიდა პოლიტიკის მიხედვით, ჯგუფი ახდენს ყოველი ახალი დამზღვევის შეფასებას მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და პირობების შეთავაზებამდე. კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებელია მესამე მხარის მიერ მისი შეფასება/დახასიათება (ამ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობის შემთხვევაში), და ზოგიერთ შემთხვევაში, საბანკო ისტორია. ლიმიტების დაწესება ხდება თითოეული მომხმარებლისთვის კონსოლიდირებულად.

22. რისკების მართვა (გაგრძელება)

მომხმარებელთა საკრედიტო რისკის მონიტორინგისას ხდება მომხმარებლების დაჯგუფება მათი საკრედიტო ისტორიების, სახეობების (კონსოლიდირებული თუ იურიდიული პირები) ინდუსტრიის მიხედვით და ა.შ. ,,მაღალი რისკის“ მქონე მომხმარებლების დაჯგუფება ხდება ცალკე და მათთან შემდგომი თანამშრომლობა ძირითადად ხორციელდება წინასწარი გადახდების საფუძველზე.

ჯგუფი დებიტორული და სხვა დავალიანებებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. მთლიანი ანარიცხების ძირითადი ნაწილი მოდის საერთო რეზერვებზე, რომელსაც ჯგუფი ქმნის ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით. ანარიცხების მცირე ნაწილი წარმოდგენილია სპეციფიკური რეზერვის სახით, რომელიც იანგარიშება თითოეული მნიშვნელოვანი კონტრაგენტის ანალიზის საფუძველზე.

სადაზღვევო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	2017	2016
ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები გაუფასურებაზე	**90,261**	**119,300**
ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნები გაუფასურებაზე		
ვადადაუმდგარი	4,447,083	4,036,179
0-დან 3 თვემდე	1,448,866	1,843,865
3-დან 6 თვემდე	62,077	294,415
6-დან 9 თვემდე	63,724	224,373
9-დან 12 თვემდე	53,504	182,653
1 წელზე მეტი ვადაგადაცილება	1,083,196	765,053
	7,248,711	**7,465,838**
ანარიცხი გაუფასურებაზე	(1,299,046)	(1,072,432)
სულ	**5,949,665**	**6,393,406**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ჯგუფის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ერთ წლამდე დაფარვის ვადის მქონე ვალდებულებებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული სხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

22. რისკების მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან - საბანკო დაწესებულებებში განთავსებულ დეპოზიტებთან მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. ჯგუფს მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე დეპოზიტები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

სავალუტო რისკის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	4,210,522	3,677,896	-	**7,888,418**
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,624,590	1,039,710	1,563	**8,665,863**
სადაზღვევო მოთხოვნები	5,488,536	404,243	56,886	**5,949,665**
სულ ფინანსური აქტივები	**17,323,648**	**5,121,849**	**58,449**	**22,503,946**
ფინანსური ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	7,185,871	-	-	**7,185,871**
სხვა ვალდებულებები	1,704,004	120,442	-	**1,824,446**
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	90,610	118,353	-	**208,963**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**8,980,485**	**238,795**	**-**	**9,219,280**
სავალუტო პოზიცია	**8,343,163**	**4,883,054**	**58,449**	

სავალუტო რისკის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	3,894,223	3,745,155	-	**7,639,378**
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,522,393	853,841	1,405	**2,377,639**
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	5,898,987	362,584	131,835	**6,393,406**
სულ ფინანსური აქტივები	**11,315,603**	**4,961,580**	**133,240**	**16,410,423**
ფინანსური ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	5,599,013	-	-	**5,599,013**
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	41,584	-	-	**41,584**
სხვა ვალდებულებები	1,596,807	-	-	**1,596,807**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**7,237,404**	**-**	**-**	**7,237,404**
სავალუტო პოზიცია	**4,078,199**	**4,961,580**	**133,240**	

22. რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ჯგუფის მგრძნობელობას აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში, 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში. 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება ჯგუფის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და მენეჯმენტის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული მუხლების საბალანსო თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო თარიღისთვის მათ ეფექტს 20%-იანი ცვლილებით.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	აშშ დოლარი		ევრო	
2017	**ლარი/დოლარი 20%**	**ლარი/დოლარი – 20%**	**ლარი/ევრო 20%**	**ლარი/ევრო – 20%**
მოგება/(ზარალი)	976,611	(976,611)	11,690	(11,690)

	აშშ დოლარი		ევრო	
2016	**ლარი/დოლარი 20%**	**ლარი/დოლარი – 20%**	**ლარი/ევრო 20%**	**ლარი/ევრო – 20%**
მოგება/(ზარალი)	992,316	(992,316)	26,648	(26,648)

23. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება

შემდეგი ცვლილებები განხორციელდა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	თანხა ცვლილებამდე	რეკლასიფიკაცია	თანხა ცვლილების შემდეგ	კომენტარი
აქტივები				
გადავადებული აკვიზაციის ხარჯი	-	5,658	5,658	გადავადებული აკვიზაციის ხარჯის გამოყოფა სხვა აქტივების მუხლიდან და გადავადებული აკვიზაციის ხარჯის მუხლში წარდგენა
სხვა აქტივები	201,517	(62,554)	138,963	გადავადებული აკვიზაციის ხარჯის და წინასწარ გადახდილი გადასახადების გამოყოფა სხვა აქტივების მუხლიდან და შესაბამის მუხლებში წარდგენა
წინასწარ გადახდილი გადასახადები	55,125	56,896	112,021	წინასწარ გადახდილი გადასახადების გამოყოფა სხვა აქტივების მუხლიდან და შესაბამის მუხლში წარდგენა
ვალდებულებები				
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	-	41,584	41,584	სხვა სადაზღვევო ვალდებულებების გამოყოფა სხვა ვალდებულებების მუხლიდან და
სხვა ვალდებულებები	1,638,391	(41,584)	1,596,807	სხვა სადაზღვევო სალდებულებების მუხლში წარდგენა

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 ,,დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. ჯგუფისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

2017 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

	სხვა დაკავშირებულ ი მხარე	უმაღლესი მენეჯმენტი	მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში
მოზიდული პრემია	1,480,224	-	**30,581,288**
მარკეტინგული და ადმინისტრაციული ხარჯები	(176,400)	-	**(4,132,324)**
უმაღლესი მენეჯმენტის შრომის ანაზღაურება	-	(171,647)	**(4,132,324)**

2016 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

	სხვა დაკავშირებულ ი მხარე	უმაღლესი მენეჯმენტი	მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში
მოზიდული პრემია	1,289,397	-	**30,067,383**
მარკეტინგული და ადმინისტრაციული ხარჯები	(178,755)	-	**(3,925,516)**
უმაღლესი მენეჯმენტის შრომის ანაზღაურება	-	(222,236)	**(3,925,516)**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

	სხვა დაკავშირებული მხარე	მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში
სხვა ვალდებულებები	1,765,121	**1,824,446**
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	1,243,289	**11,447,622**
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	1,101,370	**5,949,665**

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

	სხვა დაკავშირებული მხარე	მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში
სხვა ვალდებულებები	1,565,220	**1,596,807**
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	269,782	**9,562,654**
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	964,737	**6,393,406**

დაკავშირებული მხარეები წარმოადგენენ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებს.

25. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, ჯგუფის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

26. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.